Student Journal of Social Sciences

სტუდენტთა ჟურნალი

სოციალურ მეცნიერებებში

#20, ივლისი, 2022

# საბერძნეთში მიგრირებული ქართველი ქალბატონების  გამოწვევები

**მარიამ ქარქაშაძე**

სოციალური მუშაობის საბაკალავრო პროგრამა
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail : marikarkashadze@gmail.com

**აბსტრაქტი**

თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში, შრომითი მიგრაცია ერთ-ერთ მნიშვნელოვან და აქტუალურ განსახილველ საკითხს წარმოადგენს, რადგან ქვეყნებს შორის მკვეთრად გამიჯნული საზღვრები აღარ არსებობს და ამასთან ადამიანებს უფრო მეტი შესაძლებლობა აქვთ განვითარების. დღესდღეობით, უამრავი ადამიანი სხვადასხვა მიზეზით ტოვებს საკუთარ სამშობლოს და დროებით მიემგზავრება უცხო ქვეყანაში, რათა დასაქმდეს და გააუმჯობესოს საკუთარი ოჯახის მატერიალური მდგომარეობა და სოციალური კეთილდღეობა. მიგრანტები შეიძლება იყვნენ, როგორც მდედრობითი, ასევე მამრობითი სქესის წარმომადგენლებიც. მაგრამ ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ 80-იანი წლებიდან არსებული გლობალური ტენდენციები შეიცვალა და წინა ხაზზე გამოჩნდნენ დიდი რაოდენობით მიგრანტი ქალბატონები, რამაც გამოიწვია მომავალში „მიგრაციის ფემინიზაცია“.

აღნიშნული საკითხი აქტუალურია, როგორც მთელი მსოფლიოსთვის, განსაკუთრებით პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის, მათ შორის, საქართველოსთვის, რადგან ყოველწლიურად იზრდება ისეთი ქალების რაოდენობა, რომლებიც ტოვებენ სამშობლოს  და მიდიან უცხო ქვეყანაში, რათა შეძლონ საკუთარი ოჯახებისთვის ეკონომიკური მდგომარეობის შემსუბუქება და მათი ფინანსური მხარდაჭერა.

კოვიდ-19-ის პანდემიამ არსებული სიტუაცია უფრო გაამწვავა. ეს ყოველივე რაღა თქმა უნდა გამოწვეული იყო იმ  მძიმე სოციო-ეკონომიკური ფონით, რომელიც ჩვენს ქვეყანაშია.

მოცემული კვლევის მიზანია შევისწავლოთ  საქართველოში მიგრაციის ფემინიზაციის კუთხით არსებული ტენდენციები, ის მიზეზები რის გამოც ამ ადამიანებს უწევთ ემიგრაციაში წასვლა. ასევე, რა სირთულეებთან უწევთ გამკლავება იქ ყოფნის პერიოდში. საბერძნეთში მიგრირებული ქალბატონების მზარდმა რიცხვმა განაპირობა, რომ კვლევის ფარგლებში შესწავლილია საბერძნეთის მაგალითი. სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ ევროპის კონტინენტზე კერძოდ საბერძნეთში მიგრირებული ქალბატონები, რომლებსაც ოჯახის წევრები ჰყავთ საქართველოში.

კვლევაში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდები, სამიზნე ჯგუფთან ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუები. ამ მეთოდმა საშუალება მოგვცა დაგვედგინა აღნიშნული პრობლემის ირგვლივ არსებული ტენდენციები, ასევე შეგვესწავლა  რესპონდენტების ინდივიდუალური გამოცდილება.

**საკვანძო სიტყვები:** ქალთა შრომითი მიგრაცია, საბერძნეთში მიგრირებული ქალბატონების გამოწვევები და საჭიროებები

## შესავალი

### საკითხის აქტუალობა

საქართველო სხვა ბევრი პოსტსაბჭოთა ქვეყნის მსგავსად გარდამავალი ეკონომიკის პირობებში ბევრი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა. სიღარიბე, უმუშევრობა, სამოქალაქო ომი ეს ის პრობლემებია რამაც განაპირობა ოჯახების განსაკუთრებით კი ბავშვიანი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება. 1990- იანი წლებში საქართველოდან დაძრულმა სამუშაო ნაკადმა მასშტაბური ხასიათი მიიღო. პოლიტიკურმა ქაოსმა ,უიმედობამ და სიდუხჭირემ დაამარცხა ქართველი მამაკაცი რა დროსაც სოციალურ ასპარეზზე გამოვიდა ქალი, რომლის ემანსიპაციაც მოხდა საზოგადო ცხოვრებაში. ოჯახებში არსებული კრიზისის დაძლევისა და დასაქმების ერთ-ერთ ალტერნატივას უცხო ქვეყნაში შრომით მიგრაციაში წასვლა წარმოადგენდა. საბჭოთა „რკინის ფარდა“ უკვე აღარ არსებობდა, რამაც კანონიერი თუ უკანონო გზებით საზღვრის გადაკვეთა უფრო გაამარტივა. თავდაპირველად ქართველი ქალბატონები სამუშაოდ მიდიოდნენ თურქეთში, მას მოჰყვა საბერძნეთი, იტალია, ესპანეთი, პორტუგალია, ამერიკა. ასე გრძელდება ქვეყნების ჩამონათვალი წლების განმავლობაში (გაგნიაშვილი, 2013).

დღეს მილიონობით ადამიანი მუშაობს საკუთარი სამშობლოს გარეთ, გამონაკლისი არც საქართველოს მოსახლეობაა. 2019 წლის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, საზღვარგარეთ სამუშაოდ წასული ადამიანების რაოდენობა 105 ათასს შეადგენს, მათგან 46 ათასზე მეტი კი ქალია (საქსტატი, 2019). შრომით მიგრაციას ამა თუ იმ სახითა და მასშტაბით ადგილი ჰქონდა ყველა ეპოქაში. ესაა მიგრაციის სახე, რომელიც დაკავშირებულია სამუშაო ძალის გადაადგილებასთან ერთი ადგილიდან მეორეში დასაქმებისა და შემოსავლის მიღების მიზნით. მას კომპლექსური ხასიათი აქვს. უმუშევრობა, ეკონომიკური სარგებლის მიღება და ოჯახების დახმარება გახლავთ ის ძირითადი საკითხები , რომლებიც ჩვენს ქვეყანაში დღემდე სოციალურად ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემებად რჩება. შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია უმუშევრად მიიჩნევს 15 წელზე უფროსი ასაკის პირს, რომელსაც შეუძლია მუშაობა, სცადა დაწყება, მაგრამ 4 კვირის განმავლობაში ვერ იპოვა სამსახური. ხოლო საქართველოში მისი დეფინიცია განსხვავებულია და თავს უმუშევარს უწოდებენ ისინიც, ვინც არათუ 4 კვირის არამედ 4 თვეზე მეტ დროშიც ვერ შეძლო სამუშაოს პოვნა (შუკაკიძე, 2021 ). გენდერული ნიშნით მიგრანტების გეოგრაფიული განაწილება განსხვავდება. აღწერის მიხედვით ემიგრანტი კაცები რუსეთსა და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში უფრო არიან კონცენტრირებულები, ევროპაში კი მიგრანტების ნაკადი ფემინიზებულია რაც განპირობებულია იმ მიზეზით, რომ განვითარებულ ქვეყნებში ქალ მუშახელსა და შინ შრომაზე უფრო მზარდია მოთხოვნა (ყალიჩავა, 2019 ).

მიუხედავად საკითხის აქტუალობისა ქართულ საზოგადოებაში ნაკლებად საუბრობენ გამოწვევებზე იმ პოზიტიურ და ნეგატიურ ასპექტებზე, რომელიც თან ახლავს ქალთა შრომით მიგრაციას.მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ნეგატიურად აფასებს საზღვარგარეთ შრომითი მიგრაციის პრაქტიკას, ამის მიზეზია ოჯახის დეზორგანიზაცია, არასრულწლოვანის და თავად ემიგრანტის სტრესული მდგომარეობა,

რომელსაც ემატება ფესვგადგმული სტერეოტიპული დამოკიდებულება, რომელიც არსებობს ამ პირების მიმართ .

**ლიტერატურის მიმოხილვა და შრომითი მიგრაციის ფემინიზაცია**

შრომითი მიგრაცია მთელი მსოფლიოსთვის კარგად ნაცნობი და ფართოდ განსახილველი საკითხია. 80- იან წლებში მეტად გამახვილდა ყურადღება ქალ მიგრანტებზე, რაც ფემინიზაციის გლობალურმა ტენდეციამ განაპირობა. საერთაშორისო მიგრანტებს შორის ქალებისა და გოგონების მაღალი მაჩვენებელი 60-იანი წლებიდან სტაბილურად იზრდებოდა. გაეროს ერთ-ერთი უახლესი ანგარიშის თანახმად, 101 ქვეყანაში ქალები მიგრანტთა ნახევარზე მეტს შეადგენენ (არჯევანიძე, 2016). ამ მიმართულებით გენდერული განსხვავების შემოტანამ მკვლევრებს მისცა მეტი ინტერპრეტაციისა და საკითხის ფართო ჭრილში განხილვის საშუალება. ქალთა შრომითი მიგრაცია შესაძლოა განპირობებული იყოს როგორც ინდივიდუალური, ოჯახური და სოციალური ფაქტორებით.

საქართველოში შრომითი ბაზარი ხასიათდება, როგორც ვერტიკალური ასევე ჰორიზონტალური გენდერული სეგრეგაციით, რაც ფუნდამენტურ გავლენას ახდენს ქალისა და მამაკაცის ანაზღაურებას შორის არსებულ უთანასწორობაზე. ქალების უმრავლესობა „აუნაზღაურებელ შრომაშია“ ჩართული, რაც მოიცავს შიდასამეურნეო საქმეს, სახლის დალაგებას, ბავშვზე ზრუნვას. ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ მიგრანტი ქალების დიდი ნაწილი ჩართულია საშინაო საქმეში. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიხედვით, 2011 წელს მსოფლიოში 43,6 მილიონი ქალი იყო დასაქმებული საოჯახო საქმეში. ქვეყნები, რომლებიც გამოირჩევიან ერის დაბერების მაღალი ტენდენციით მაღალია მოთხოვნა შინ შრომაზე, მოხუცის და ბავშვის მოვლაზე. გენდერული როლებით ნაკარნახევი ფაქტი კი განაპირობებს იმას, რომ ქალებმა აირჩიონ შინ შრომა (ყალიჩავა, 2019 ). გლობალურ დონეზე სოციალურ უთანასწორობას ააშკარავებს ტერმინი „ზრუნვის ჯაჭვი“. ჰოკშილდის განმარტების მიხედვით, ემიგრანტი ქალბატონები სამშობლოში ტოვებენ თავიანთი ზრუნვის პასუხისმგელობებს და ემიგრაციაში ყოფნის დროს საქმდებიან სხვისი შვილებისა და მოხუცების მოვლით. ავტორი ამით ცდილობს დაამტკიცოს, რომ შეძლებული ოჯახები გლობალური ჩრდილოეთის ქვეყნებიდან ყიდულობენ „ზრუნვას“. შედეგად ტვინების გადინებასთან ერთად ვიღებთ ზრუნვის დეფიციტს. ეს კი სამშობლოში დარჩენილი შვილების სოციალიზაციასა და რეალიზებაზე ახდენს გავლენას (Hochschild, 2005). აღსანიშნავია ისიც, რომ გენდერული როლების ცვლილება მოხდა ცალსახად, რადგან ქალბატონებმა მოირგეს ოჯახის მარჩენალის როლი, ხოლო მამაკაცებმა შეითავსეს საშინაო საქმეების შესრულება. რეპროდუქციული შრომის ამგვარმა დანაწილებამ ქალის შრომა უჩინარი გახადა, სამშობლოში ზრუნვის დეფიციტი და მასპინძელ ქვეყნებში დამატებითი ზრუნვის შესაძლებლობა გაზარდა. საქართველოს ფარგლებს მიღმა მამაკაცებისთვის დასაქმება რთულია, რადგან მოთხოვნადი პოზიციები უფრო მეტად მდედრობით სქესთან არის დაკავშირებული და ქალები უფრო მარტივად ახერხებენ ადაპტირებას უცხო გარემოსთან (ჩაჩავა, 2020 ).

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის თანახმად გენდერი დიდ გავლენას ახდენს მიგრაციის ხასიათსა და თავისებურებაზე, რადგან მას აუცილებლად მოაქვს ადამიანური და სოციალური დანაკარგები. ეს გამძაფრებულია მაშინ როდესაც ქალებს უწევთ შვილების სამშობლოში დატოვება თავად კი ფინანსური გზავნილებით უზრუნველყოფენ ოჯახების ფინანსურ დაცულობას, რაც ასევე ეხმარება ქვეყნის ეკონომიკურ აქტივობას, საზოგადოებაში სიღარიბის შემცირებას და სოციალურ განვითარებას. გარდა დადებითი ეფექტებისა ოჯახთან განშორებას თან ახლავს უარყოფითი შედეგებიც. 2006 წლის UNICEF-ის მიგრანტთა ოჯახის კვლევამ მოლდოვას მაგალითზე გვაჩვენა, რომ მშობლის მიგრაციის შემთხვევაში ამას მოჰყვება ისეთი შედეგები როგორიცაა, ნარკოტიკების მოხმარება, სექსუალური ძალადობა, სკოლიდან გარიცხვა. მიგრანტი დედების შემთხვევაში ისინი ნაკლებად არიან ჩართულები შვილების აღზრდაში და ტრადიციულისგან განსხვავებულ მეთოდებს იყენებენ. ტრანსნაციონალური დედობა მოითხოვს ზრუნვის გადაბარებას ოჯახის სხვა წევრებზე. მიგრანტ ქალბატონებს უწევთ რისკსა და სარგებელს შორის არჩევანის გაკეთება. მათ ამ პერიოდში ემოციური სირთულეებიც აქვთ. შფოთვა, დანაკარგი, მარტოობა და დანაშაულის გრძნობა. მსგავსს სირთულეებთან გამკლავება მარტივი არ არის( ყალიჩავა, 2019). არასრულწლოვნისთვის დედის წასვლა უფრო მტკივნეულად აღიქმება ვიდრე მამის, რადგან ემოციური ბმა და მიჯაჭვულობა დედასთან უფრო მეტია.

**მეთოდოლოგია**

მოცემული კვლევის მიზანია შევისწავლოთ საქართველოში მიგრაციის ფემინიზაციის კუთხით არსებული ტენდენციები, ის მიზეზები რის გამოც ქალბატონებს უწევთ შრომით მიგრაციაში წასვლა და იქ ყოფნის პერიოდში რა სირთულეებთან უწევთ გამკლავება. საქართველოდან საბერძნეთში მიგრირებული ქალბატონების დიდი რაოდენობა იყო ერთ-ერთი ფაქტორი რამაც განაპირობა საბერძნეთის მაგალითის შესწავლა. დასახული მიზნის მისაღწევად დასმულია შემდეგი ამოცანები:

1)ვიკვლიოთ საბერძნეთში შრომით მიგრაციაში მყოფი ქალბატონების ყოველდღიური სირთულეები და როგორ ახერხებენ მათთან გამკლავებას (ფსიქოემოციური მდგომარეობა და მენტალური ჯანმრთელობა)

2)გავარკვიოთ ის მიზეზები, რის გამოც მათ მოუხდათ საკუთარი ქვეყნისა და ოჯახების დატოვება და შრომით მიგრაციაში წასვლა;

3)დავადგინოთ, რა გავლენა იქონია კოვიდ-19 ის პანდემიამ მათ ცხოვრებაზე და რა ცვლილებები გამოიწვია;

კვლევაში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდები კერძოდ სიღრმისეული ინტერვიუ, რომელიც ჩატარდა საბერძნეთში ემიგრაციაში მყოფ 10 ქალბატონთან. მათი ასაკი 50-75 წლამდე მერყეობდა. კვლევა ჩატარდა თოვლის გუნდის მეთოდის გამოყენებით, რომელიც ეფექტური საშუალებაა მსგავს დახურულ ჯგუფებში შესაღწევად და ინფორმაციის მოსაპოვებლად. თავდაპირველად შემთხვევითი შერჩევით ვიპოვეთ ქალბატონი, რომელიც შემდგომში დაგვეხმარა

რესპონდენტების მოძიებაში. აუცილებელ პირობას წარმოადგენდა ის რომ, რესპოდენტი უნდა ყოფილიყო ემიგრაციაში საბერძნეთში და ოჯახის წევრები უნდა ჰყოლოდა საქართველოში.

*კვლევის შეზღუდვა* გახლდათ ის, რომ ინტერვიუები რესპოდენტებთან ჩატარდა ონლაინ რეჟიმში ზუმის პლატფორმის გამოყენებით. ამასთანავე შესწავლილია მხოლოდ ერთი ქვეყნის საბერძნეთის მაგალითზე. შეფასებულია მხოლოდ ქალბატონების პოზიცია, ხოლო მათი ოჯახის წევრების პოზიცია შრომით მიგრაციასთან მიმართებით უცნობია. აღსანიშნავია ის დეტალიც, რომ სიღრმისეულად არ არის გაანალიზებული კოვიდ-19 ის გავლენა შრომით მიგრაციაში მყოფი ქალების ყოველდღიურ ცხოვრებაზე.

**კვლევის შედეგები**

რესპოდენტებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე გამოვლინდა ის ფაქტი, რომ უმრავლესობისთვის მთავარი მოტივი იყო ოჯახების ფინანსური და მატერიალური კუთხით გაძლიერება, რადგან მიუხედავად იმისა რომ ისინი უმაღლესი განათლების მქონენი იყვნენ შრომით ბაზარზე მაინც ვერ ახერხებდნენ საკუთარი პროფესიით შესაბამისი ანაზღაურების მიღებას და ის ხელფასი, რომლებსაც დამქირავებლები უხდიდნენ ძალიან მიზერული იყო და უჭირდათ თვიდან-თვემდე თავის გატანა. შვილიანი ოჯახების შემთხვევაში ბავშვის ზრდასთან ერთად რთულია ბავშვის საჭიროებების დაკმაყოფილება და ადეკვატური ზრუნვის გაწევა, რადგან როგორც ერთ-ერთმა რესპოდენტმა აღნიშნა, ბავშვები იზრდებიან მათ ყოველ წელს უფრო მეტი და მეტი სჭირდებათ. მათი ფეხზე დაყენება და განათლების მიცემა მნიშვნელოვანი იყო, რასაც აქ ყოფნის დროს ვერ მოახერხებდნენ. გარდა მატერიალური პრობლემებისა რესპოდენტების ნაწილისთვის ემიგრაციაში წასვლის მოტივი დაკავშირებული იყო ოჯახში არსებულ სირთულეებთან და პირად ცხოვრებაში კრახთან, რადგან მათი საუბრიდან ვიგებთ, რომ მათი ქორწინება არ აღმოჩნდა წარმატებული და მარტოხელა დედობა მოუწიათ. მეუღლესთან არეულმა ურთიერთობამ და კონფლიქტმა განაპირობა მათი საზღვარგარეთ წასვლა. ხოლო დაქვრივებული ქალბატონების შემთხვევაში ემიგრაციაში წასვლა მეტ სიმძაფრესთან არის დაკავშირებული. გარდა ზემოთ აღნიშნული სოციო-ეკონომიკური მიზეზებისა რესპოდენტთა ნაწილის ქვეყნიდან წასვლა განაპირობა განსხვავებულმა პოლიტიკურმა შეხედულებებმა. ვარდების რევოლუციის შემდეგ ისინი უმცირესობაში აღმოჩნდნენ და ვეღარ საქმდებოდნენ, ამიტომ გადაწყვიტეს ემიგრაციაში წასვლა და იქედან ოჯახების რჩენა და დახმარება, თითქმის ყველა რესპოდენტი ერთხმად თანხმდებოდა, რომ ემიგრაციას განიხილავდნენ მათი პრობლემების გადაჭრის დროებით ზომად, მაგრამ მათმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ უცხო ქვეყანაში გატარებულმა წლებმა დროდადრო იმატა. ვციტირებ რესპოდენტის ნათქვამს, რომელიც 15 წელია ემიგრაციაშია:

„ ასე შემომანათდა ჩემი ახალგაზრდობის წლები საბერძნეთში.“

კვლევის შედეგებში ასევე გამოიკვეთა ის სირთულეები რაც ემიგრაციაში ყოფნას თან ახლავს. პირველ ეტაპზე თავს იჩენს გარემოსთან, კლიმატთან, საკვებთან შეგუების სირთულე და მასთან ადაპტირება. მიუხედავად იმისა, რომ ეს ყველასთვის ინდივიდუალურია გარკვეული მსგავსი

ტენდენციები შეიმჩნეოდა რესპოდენტების პასუხებში. გარდა გეოგრაფიული დაბრკოლებებისა ქალბატონებისთვის თვალშისაცემი აღმოჩნდა ადგილობრივი კულტურა და იყო კულტურული შოკის მომენტებიც. მიუხედავად იმისა, რომ საბერძნეთიც ქრისტიანული სახელმწიფოა გარკვეული განსხვავებები შეიგრძნობოდა. გარდა ზემოთ აღნიშნული საკითხისა ერთ-ერთი სირთულე, რომელიც შემაფერხებელი აღმოჩნდა რესპოდენტებისთვის ეს იყო ენობრივი ბარიერი. როგორც მონაყოლიდან ვიგებთ მათ სურდათ ენის მცირე დროში შესწავლა, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო. დასაქმების პროცესში დამსაქმებელთან არასრულფასოვანი კომუნიკაცია ხშირად ხდება მაპროვოცირებელი კონფლიქტური სიტუაციებისა. ქალბატონები , საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე მიიჩნევენ , რომ ემიგრაციაში წასვლამდე მნიშვნელოვანია საკომუნიკაციო დონეზე უცხო ენის შესწავლა. კვლევის ფარგლებში რესპოდენტთა უმრავლესობასთან გამოიკვეთა საკუთარი სამშობლოს და ოჯახის წევრების გამძაფრებული მონატრება. ვციტირებ რესპოდენტის ნათქვამს:

„ უცხო ქვეყანაში როცა ჩამოდიხარ ცხოვრების ფსკერზე ეშვები, ძნელია აქ ყოფნა.“

რესპოდენტთა გარკვეული ნაწილი საწყის ეტაპზე უსაბუთოდ არალეგალად იყო, რაც გარეთ გასვლის, ტრანსპორტში ჩაჯდომისა და პოლიციის მიმართ შიშს აღძრავდა.

ემიგრაციაში მყოფი ქალბატონების უმრავლესობას აქვს საქართველოში სამუშაო გამოცდილება. დასაქმებულები იყვნენ სამედიცინო დაწესებულებაში ექთნებად, სკოლაში მასწავლებლებად და საწარმოებში სხვადასხვა პოზიციაზე. მიუხედავად იმისა, რომ ჰქონდათ სამსახური მათი შემოსავალი თვის განმავლობაში იყო მინიმალური, რომელიც არ იყო საკმარისი საბაზისო საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. ხოლო ის ქალბატონები, რომლებიც საქართველოში წამყვან და მაღალ თანამდებობებზე მუშაობდნენ იმ ფაქტთან შეგუება, რომ საბერძნეთში მოხუცისთვის უნდა მოევლოთ ძალიან გაუჭირდათ, რადგან მათთვის სრულიად ახალ რეალობაში მოუწიათ ყოფნა. საწყისს ეტაპზე არსებულმა დაბრკოლებამ მათ მისცა იმის საშუალება, ღირებულებები გადაეფასებინათ.

„არანაირი სამსახური არ არის სირცხვილი პირიქით შრომაში ადამიანი და მისი თვითშეგნება მაღლდება.“-ამბობს ერთ-ერთი ქალბატონი

რესპოდენტებთან ჩატარებული ინტერვიუებიდან ჩვენთვის ცნობილი გახდა ის ფაქტი, რომ უცხო ქვეყანაში მოწყობა და სამსახურთან შეგუება რთულია. ახალ კულტურასთან, ტრადიციებთან, ღირებულებებთან ადაპტირებას წლები სჭირდება, განსაკუთრებით მაშინ, როცა ეს ყველაფერი ზრდასრულ ადამიანს ეხება. ერთ-ერთმა ქალბატონმა აღნიშნა, რომ ემიგრაციამ დააშორა ოჯახები, გაწყვიტა და გააუცხოვა ურთიერთობები, ოჯახის წევრებს დააკლდათ ერთმანეთის სითბო და სიყვარული. რესპოდენტების უმრავლესობა ინტერვიუებში აღნიშნავდა, რომ მათ საზღვარგარეთ წასვლის გადაწყვეტილება ოჯახის წევრებთან შეთანხმებულად მიიღეს. შვილების ზრუნვისა და აღზრდის საკითხში მოხდა პასუხისმგებლობების გადანაწილება მათ მეუღლეებზე, ბებია ბაბუებზე. ზოგიერთ შემთხვევაში თანადგომის ქსელი სუსტი აღმოჩნდა, რასაც ხელს უწყობდა ოჯახების მოწყვლადობა და მძიმე მატერიალური მდგომარეობა. ქალბატონები აღნიშნავდნენ, რომ მიუხედავად მათი აქტიური ძალისხმევისა სრულფასოვნად ვერ ახერხებდნენ ჩართვას ბავშვების აღზრდაში,

სასკოლო საგაკვეთილო პროცესებში. მნიშვნელოვან დროს არ იდგნენ თავიანთი შვილების გვერდით რის გამოც დანაშაულის გრძნობა აწუხებთ.

საზღვარგარეთ წასვლის გადაწყვეტილების მიღების მიზეზებზე საუბრის შემდეგ მნიშვნელოვანია ვახსენოთ ის ორგანიზაციული დეტალები რაც თან ახლავს უცხო ქვეყანაში გადასვლას, ცხოვრებას და დასაქმების ხანგრძლივობას. რესპოდენტების ნაწილი საუბარში აღნიშნავდა, რომ მასპინძელ ქვეყანაში ჰყავდათ მხარდამჭერი პირი, რომელიც საწყის ეტაპზე ეხმარებოდა საჭირო ინფორმაციის მიღებაში, სამსახურის მოძიებაში. თანადგომის ქსელის არსებობამ გარკვეული ბარიერები გაამარტივა, ნაკლები ემოციური ფონისა და ტკივილის გადატანა მოუხდათ. ხოლო გაცილებით რთული იყო, იმ ქალბატონების მდგომარეობა რომლებმაც ყოველგვარი თანადგომის ქსელის გარეშე მიიღეს საზღვარგარეთ წასვლის გადაწყვეტილება, არ იცოდნენ დასაქმების სავარაუდო ადგილი, უცხო ქვეყანაში ღამის გასათევიც არ ჰქონდათ. ამგვარი გაურკვევლობა იწვევდა შიშს, დაძაბულობას, ნერვიულობას, რამაც დააზიანა მათი ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობა.

ჩატარებული ინტერვიუების შედეგად ვიგებთ, რომ რესპონდენტების უმრავლესობა საქართველოს დატოვებამდე  საზღვარგარეთ დასაქმების პერიოდს საშუალოდ განსაზღვრავდა 1-დან 3 წლამდე. თავდაპირველი პრობლემა, რომელიც მთავარი მამოტივირებელი იყო მათი საზღვარგარეთ წასვლის უმეტეს შემთხვევაში მოგვარებულია, თუმცა დროთა განმავლობაში თავს იჩენს მოულოდნელი ან დაუგეგმავი ხარჯები, რომლის უზრუნველყოფაც ოჯახებს სხვაგვარად არ შეუძლიათ, თუ არა ქვეყნის ფარგლებს მიღმა გამოგზავნილი ფულადი გზავნილებით.  საბანკო ვალდებულებების დაფარვის შემდეგ ოჯახებისთვის პრიორიტეტული ხდება საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება, ასევე არასრულწლოვნებს ასაკის მატებასთან ერთად სჭირდებათ უფრო მეტი მატერიალური მხარდაჭერა, მაგალითისთვის,  აბიტურიენტის მომზადება დამატებით რეპეტიტორებთან, უმაღლესი განათლების მიღებასთან დაკავშირებული ხარჯები: სწავლის გადასახადი, შვილის/შვილების სხვა ქალაქში ცხოვრებისა და არსებობისთვის საჭირო სახსრები და ა.შ. ამასთან, რესპონდენტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ დროთა განმავლობაში ადამიანები ეჩვევიან იმ გარემოს, სადაც მუშაობენ, მათთვის ბუნებრივი ხდება ცხოვრების ამგვარი სტილი და შესაბამისად, ნაკლებად ფიქრობენ უკან დაბრუნებაზე. რესპონდენტთა ნაწილი კი საზღვარგარეთ გასვლას დასაქმების მიზნით ადარებს ჭაობს, რომლიდან ამოსვლაც დროთა განმავლობაში ძალიან რთულია. ქალბატონების უმრავლესობა ლეგალურად იმყოფება ემიგრაციაში და ახერხებენ საქართველოში ჩამოსვლას, მაგრამ ვერ ხედავენ ცვლილებებს, წლიდან წლამდე საქართველო უკან იხევს და მდგომარეობა უარესდება. მათი თქმით ქვეყანა არ არის მზად, რომ ისინი უკან მიიღოს შრომით ბაზარზე, დაასაქმოს და შეუქმნას სათანადო პირობები.შრომით მიგრაციაში ჩართული პირების უმრავლესობა აპირებს საქართველოში დაბრუნებას, თუმცა როდის მოახერხებენ ამ გადაწყვეტილების მიღებას, ბუნდოვანია. ეს დამოკიდებულია ძირითადად მათი შვილების შემდგომ საჭიროებებსა და ოჯახის წინაშე არსებულ გამოწვევებზე.

რესპონდენტებმა ყურადღება გაამახვილეს „ქალის გარეშე დარჩენილ ოჯახებზე“. აღნიშნეს, რომ ქალები გაცილებით უკეთესად ასრულებენ სახლის საქმეებს, ვიდრე - კაცები, შესაბამისად, მიიჩნევენ,

რომ საქართველოში დარჩენილი ოჯახის წევრები (განსაკუთრებით მამრობითი სქესის) ვერ ახერხებენ საკუთარი ყოველდღიური საჭიროებების (კვება, სისუფთავის შენარჩუნება სახლში, პირადი ჰიგიენის დაცვა და სხვა) ისე დაკმაყოფილებას, როგორც ამას შეძლებდნენ დედის/ცოლის ყოფნის შემთხვევაში.

აღნიშნულ თემაზე მუშაობისას რესპოდენტებთან ინტერვიუების ფარგლებში ასევე შევეხეთ კოვიდ-19თან დაკავშირებულ სირთულეებს. მიგნებებში გამოიკვეთა ის, რომ კოვიდმა მათი სოციალური იზოლაცია და ჩაკეტილობა გამოიწვია, რადგან ოჯახის უფროსები მათ აფრთხილებდნენ, რომ შესაძლოა მოხუცისთვის ვირუსი გადაედოთ. ამიტომ ერთმანეთთან ფიზიკურად იშვიათად კონტაქტობდნენ და ვირტუალურად ჰქონდათ კომუნიკაცია ვიდეო ზარების მეშვეობით, რამაც განაპირობა ემიგრანტებს შორის ურთიერთობების გაციება და შესუსტება.

**დასკვნა**

კვლევის შედეგების მიხედვით საკმაოდ ბევრი პრობლემა იკვეთება იმ ოჯახების ფუნქციონირების პროცესში, რომლის ერთი წევრი მაინც იმყოფება საზღვარგარეთ შრომით მიგრაციაში. მიუხედავად იმისა, რომ შრომით მიგრაციაში მყოფი პირები საზღვარგარეთ დასაქმებას მათ წინაშე არსებული პრობლემების გადაჭრის დროებით ზომად მიიჩნევენ, შესწავლილი ლიტერატურა და ჩატარებული ინტერვიუები მიუთითებს იმას, რომ მზარდია საზღვარგარეთ შრომით მიგრაციაში გატარებული წლების რაოდენობაც.შრომითი მიგრანტების უმეტესობა ქალია, რაც დამატებით გენდერულ ასპექტს მატებს. შრომის ფემინიზაციის პირობებში, როცა გაზრდილია ქალთა რიცხვი შრომით ბაზარზე, საყურადღებოა, თუ რა პოზიციებზე საქმდებიან ისინი მიგრაციის პირობებში. იკვეთება ბაზრის დაყოფა.საზღვარგარეთ მოთხოვნადი საქმიანობა ქართულ საზოგადოებაში ძირითადად ასოცირდება „ქალის საქმიანობასთან“, როგორიცაა ბავშვისა თუ ხანდაზმულის მოვლა, დალაგება და სხვა. შესაბამისად, ხშირად სწორედ ქალის მიერ საზღვარგარეთ მიღებული ანაზღაურება ხდება მათი ოჯახის შემოსავლის ერთადერთი წყარო.
რაც შეეხება ეკონომიკურ მხარეს, აღსანიშნავია, რომ კვლევის შედეგების მიხედვით შრომითი მიგრაცია ზრდის ოჯახების კეთილდღეობის ხარისხს. საქართველოში დარჩენილი შინამეურნეობები, რომლებიც იღებენ ფულად გზავნილებს მეტწილად ახერხებენ იმ საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილებას, რაც მათთვის გამოწვევას წარმოადგენდა ოჯახის წევრის საზღვარგარეთ დასაქმებამდე. რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა საზღვარგარეთ წასვლის მოტივად ოჯახის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას ასახელებს, თუმცა განსხვავებულია ის წინარე გამოცდილება, რომელიც ბიძგის მიმცემი გახდა პირისთვის, საზღვარგარეთ დასაქმების გადაწყვეტილება მიეღო. თუმცა, თითქმის ყველა შემთხვევაში აღნიშნული გადაწყვეტილება ნაკარნახევი იყო შვილებისთვის უკეთესი მომავლის პერსპექტივის შექმნით. შრომითი მიგრაციის დროს გარდა იმისა, რომ ხდება ადამიანური კაპიტალის გადინება ქვეყნიდან, თანდათანობით მცირდება შრომისუნარიანი მოსახლეობის რიცხვი.გამოკითხული ქალბატონების აბსოლიტური უმრავლესობა მიუხედავად განსხვავებული სამუშაო გამოცდილებისა და მიღებული განათლების საფეხურისა, ყურადღებას ამახვილებს საქართველოში შრომის მინიმალურ ანაზღაურებაზე,

რომელიც უმეტეს შემთხვევაში, არ ჰყოფნიდათ ოჯახების საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილებაში. ემოციურობის მხრივ წლების განმავლობაში ოჯახის წევრები საზღვარგარეთ დასაქმებულ პირთან კარგავენ მყარ ემოციურ კავშირებს, რაც ხელს უწყობს ურთიერთობების რღვევას და იწვევს გაუცხოებას.

**ბიბლიოგრაფია**

A.R. Hochschild "*Love and Gold"*in Ricciutelli, L., A. Miles, M.H. McFadden, 2005. *Feminist Politics Activism and Vision: Local and Global Challenges)*

არჯევანიძე, ნ. (2016). *მიგრაციის ფემინიზაცია.* მოპოვებული http://dictionary.css.ge/content/feminisation-migration-

გაგნიაშვილი, თ. (2013). *საზოგადოების დამოკიდებულებების კვლევა შრომითი მიგრაციის ფემინიზაციასთან დაკავშირებით.* მოპოვებული https://www.qwelly.com/group/sociology/forum/topics/feminizacia-

საქასტატი. (2019). *მიგრაცია .* მოპოვებული https://www.geostat.ge/ka/modules/categories/316/mosakhleoba-da-demografia-

ყალიჩავა, თ. (2019 ). *შროითი მიგრაციის ფემინიზაციის გავლენა საქართველოში მყოფ შვილებზე.* მოპოვებული https://openscience.ge/bitstream/1/1325/1/Kalichava-%20MA%20Thesis%20soc2019.pdf-

შუკაკიძე, ს. (2021 ). *შრომითი მიგრაცია საქართველოში.* მოპოვებული http://geoeconomics.ge/?p=13032-

ჩაჩავა, მ. (2020 ). *სამშობლოში დაბრუნებული ემიგრანტი ქალების ანაზღაურებადი და აუნაზღაურებელი შრომა .* მოპოვებული https://feminism-boell.org/sites/default/files/2020-12/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A8%E1%83%98%20%E1%83%93%E1%83%90%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9-